საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/52 " 10 " ივნისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ბ. შონიასათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ივნისის №1/51 განკარგულების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე ვასილ მშვენიერაძე გამწესდა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, შესაბამისად იგი ვეღარ შეასრულებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, - სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დატვირთულობის გათვალისწინებით, თავმჯდომარის არყოფნა უარყოფითად აისახება კოლეგიის გამართულ ფუნქციონირებაზე, რის გამოც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის საფუძველზე თავმჯდომარის დანიშვნამდე, უფლებამოსილების კოლეგიის ერთ-ერთი მოსამართლის ბადრი შონიასათვის დაკისრების თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს ყველა წევრის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2022 წლის 13 ივნისიდან:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვ. მშვენიერაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 20 სექტემბრის №1/165 განკარგულება.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ბადრი შონიას დაეკისროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე